



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„10“ დეკემბერი“ 2013 წელი

გვ. N1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში №33/00

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
1. უნივერსიტეტების სარგებლობაში არსებული შეუფასებელი და აღურიცხავი მიწა:	5
2. უნივერსიტეტების ბალანსზე არსებული დაურეგისტრირებელი ქონება:	6
3. სამინისტროს სისტემის ერთეულებს შორის წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვიანობის შეუსაბამობა:	6
4. ძირითადი აქტივების არასწორი კლასიფიკაცია:	7
პირობითი მოსაზრება	7
ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები	8
1. საეთერო დროის შესყიდვა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ისგან“:	8
2. სტუდენტური დასაქმების პროგრამა:	10
3. დებიტორული დავალიანება:	11
4. არაფინანსური აქტივები:	13
5. კრედიტორული დავალიანება:	15
6. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:	16
7. საბიუჯეტო ასიგნებები:	20
8. ლიკვიდირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კუთვნილი აქტივები:	21
9. შიდა კონტროლის სისუსტეები:	22
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	23



საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მენეჯმენტს:

მინისტრს

თამარ სანიკიძეს

მინისტრის პირველ მოადგილეს

ქეთევან ნატრიაშვილს

მინისტრის მოადგილეს

თამარ მარსაგიშვილს

მინისტრის მოადგილეს

ლია გიგაურს



სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს: ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, წმინდა ღირებულების შესახებ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ფულადი გრანტების შესახებ, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილების შესახებ და ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში

გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

1. უნივერსიტეტების სარგებლობაში არსებული შეუფასებელი და აღურიცხავი მიწა:

- 10 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სარგებლობაში არსებული 63.08 ჰექტარი მიწა არ არის შეფასებული და ბალანსზე აღრიცხული.

№	კვლევითი ცენტრის დასახელება	მიწის ფართობი (კვ.მ.)
1	მიხეილ ნოდის გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	362,515.00
2	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	141,426.00
3	ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	11,353.00
4	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	1,303.00
5	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	41,680.00
6	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	31,137.00
7	კავკასიის ლექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	3,570.00
8	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	8,253.00
9	თინათინ წერეთელის სახელობის სახელმწიფო და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	1,215.00
10	ეკონომიკურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	19,151.00
11	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	9,159.00
სულ		630,762.00



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში

2. უნივერსიტეტების ბალანსზე არსებული დაურეგისტრირებელი ქონება:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ბალანსზე ასახული 60,701 კვ.მ. შენობა-ნაგებობა დაურეგისტრირებელია.

№	კვლევითი ცენტრის დასახელება	შენობა-ნაგებობა (კვ.მ.)
1	ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	1,040.20
2	თინათინ წერეთელის სახელობის სახელმწიფო და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	547.28
3	მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	5540.00
4	პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	1,530.20
5	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	1,537.00
6	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	2,650.00
7	ეკონომიკურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	3,252.00
8	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	22,894.00
9	ეროვნული ბიბლიოთეკა	18,536.00
10	ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	3,174.00
სულ		60,700.68

3. სამინისტროს სისტემის ერთეულებს შორის წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვიანობის შეუსაბამობა:

ნაერთი დებიტორ-კრედიტორების რეესტრის შესწავლის შედეგად გამოვლინდა 32,013.0 ათასი ლარის ცალმხრივად აღრიცხული დებიტორული დავალიანება სამინისტროს ქვეუწყებებს შორის. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე¹ №1321 ბრძანების მიხედვით მოთხოვნის წარმოქმნისას მეორე მხარეს მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ღირებულების ტოლი ვალდებულება წარმოექმნება. გამოვლენილი გარემოება არ შეესაბამება ამ მოთხოვნას¹.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1321, მუხლი 28, პუნქტი 5.



4. ძირითადი აქტივების არასწორი კლასიფიკაცია:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ 2012 წლის ბოლოს 39,486.22 ათასი ლარი აღრიცხული ჰქონდა დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის მუხლში. ბალანსის შემადგენელი მშენებლობებიდან საანგარიშო პერიოდის ბოლოს უკვე დასრულებული იყო მინიმუმ 31,041.41 ათასი ლარის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მშენებლობები ნაერთ ბალანსში წარმოდგენილია არასწორად დაუმთავრებელ ძირითად აქტივებად, როდესაც ისინი ექვემდებარება შენობა-ნაგებობად აღიარებას და შემდგომ ამორტიზაციას.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს 2012 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.



ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები

1. საეთერო დროის შესყიდვა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ისგან“:

2012 წელს ტელეკომპანია „რუსთავი 2-თან“ გაფორმდა სამი ხელშეკრულება, თებერვალში, მაისსა და აგვისტოში, საეთერო დროის შესყიდვის თაობაზე ჯამური ღირებულებით 800.00 ათასი ლარი. ხელშეკრულებების საფუძველზე სამინისტროს მითითებით ეთერში უნდა გასულიყო ტელეკომპანიის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო/შემეცნებითი პროგრამები. აღნიშნული პროგრამების დასახელება მითითებული არ არის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ასევე ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული სამინისტროს მხრიდან მომსახურების გაწევის მონიტორინგის მექანიზმი. რუსთავი 2-ის მხრიდან გაწეული მომსახურების დასტურად წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და მედია-გეგმები².

ხელშეკრულების მიხედვით შესყიდვის საგანი და მისი ღირებულება არ არის დეტალურად განსაზღვრული. შესაბამისად ვერ დგინდება ხელშეკრულების ღირებულების გაანგარიშების საფუძველი.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დასტურად გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული გაწეული მომსახურების მახასიათებლები და რაოდენობა. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია მედია-გეგმებში, რომელიც არასრულად არის დამოწმებული. ზოგ შემთხვევაში ხელს არ აწერს სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო რამდენიმე მედია-გეგმაზე ხელს აწერს „ახალი არხის“ წარმომადგენელი, მაშინ როდესაც ხელშეკრულება გაფორმებულია ტელეკომპანია „რუსთავი 2-სა“ და სამინისტროს შორის.

მედია-გეგმების მიხედვით ეთერში გასულია შემდეგი გადაცემები:

- ცხოველები, საქართველოს წითელი წიგნი – გასულია 14-ჯერ, საერთო ღირებულებით – 30.0 ათასი ლარი;
- დღის დაიჯესტი – გასულია 393-ჯერ, საერთო ღირებულებით 120.80 ათასი ლარი;
- ამორძალები, კაფე ქიშერიონი, ორნამენტი – გასულია 5-ჯერ, საერთო ღირებულებით 14.33 ათასი ლარი;
- პოპ-კორნი – თებერვლის ხელშეკრულების მიხედვით ეთერში გასულია 26-ჯერ, ღირებულება არ არის მითითებული. მაისის ხელშეკრულების მიხედვით ეთერში გასულია 16-ჯერ, საერთო ღირებულება – 47.00 ათასი ლარი;
- პოპ-არტი – თებერვლის ხელშეკრულების მიხედვით ეთერში გასულია 36-ჯერ, ღირებულება არ არის მითითებული. მაისის ხელშეკრულების მიხედვით ეთერში გასულია 14-ჯერ, საერთო ღირებულება – 58.0 ათასი ლარი.

² ხელშეკრულების მიხედვით მედია-გეგმა წარმოადგენს მომსახურების გაწევისთვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელს.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფინანსური აუდიტის ანგარიში

ზემოთ აღნიშნული ტელეგადაცემების შესაბამისობა ვერ დგინდება ხელშეკრულების პირობებთან, რადგან ხელშეკრულებაში შესყიდვის საგანი აღწერილია ზოგადად, როგორც საგანმანათლებლო/შემეცნებითი გადაცემები.

ასევე, მედია-გეგმებსა და ხელშეკრულების პირობებს შორის არის შემდეგი შეუსაბამოები:

- თებერვალში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად წარმოდგენილი მედია-გეგმის მიხედვით, რამდენიმე პროგრამა ეთერში გასულია ხელშეკრულების გაფორმებამდე.
- მაისში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად წარმოდგენილი მედია-გეგმის და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით სამი პროგრამა, ჯამური თანხით 44.00 ათასი ლარი, იყო მზადების პროცესში. აღნიშნული სამი პროგრამის მომზადება და შემდგომში ეთერში გასვლა არ დასტურდება დოკუმენტურად.



2. სტუდენტური დასაქმების პროგრამა:

2012 წლის აგვისტოში, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ განხორციელდა „სტუდენტური დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე“. პროგრამა ითვალისწინებდა აგვისტოს თვეში სტუდენტების დასაქმებას სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებში, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროგრამაში. დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტით და გადახდილია პროგრამის განმახორციელებლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 22.8 ათასი სტუდენტი, რომელთა შრომითი ანაზღაურების მიზნით გადახდილია 11,367.38 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. შრომითი ურთიერთობა რეგულირდებოდა სამმხრივი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა დასაქმებულს³, დამსაქმებელს⁴ და პროგრამის განმახორციელებელს⁵ შორის.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა პროცედურას, რომ დამსაქმებელ კომპანიას თვის ბოლოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის წარედგინა დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში წერილის სახით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არ გააჩნია ანგარიშები 5.7 ათას დასაქმებულზე, რომელთაც ანაზღაურების სახით მინიმუმ 2,741.0 ათასი ლარი გადაერიცხათ საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. პროგრამის კონტროლის მექანიზმების გამოვლენილი ხარვეზი მიუთითებს კონტროლის ღონისძიებების მოთხოვნათა დაუცველობას, რათა უზრუნველყოფილიყო საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა.

³ დასაქმებული – სტუდენტი, რომელიც მონაწილეობდა პროგრამაში;

⁴ დამსაქმებელი – კომპანია, რომელიც პროგრამის ფარგლებში ასაქმებდა სტუდენტებს;

⁵ პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში

3. დებიტორული დავალიანება:

2012 წლის ბოლოს დებიტორული დავალიანება შეადგენს 87,509.0 ათას ლარს. მათ შორის 3,748.90 ათასი ლარი ბალანსზე აისახება ფინანსური წლის ბოლოსთვის შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის გამო.

2012 წლის 31 დეკემბრს 1,000.00 ათასი ლარი ირიცხება დებიტორულ დავალიანებად ა(ა)იპ „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მიმართ, რომელმაც განახორციელა არასამთავრო ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების დაფინანსება სამოქალაქო სექტორის განვითარებისა და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის. მიღებული თანხიდან 574.72 ათასი ლარით „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მიერ დაფინანსებულია შემდეგი პროექტები:

ორგანიზაცია	პროექტი	გრანტი
ა(ა)იპ "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა"		304,800
	მდგრადი ორგანიზაცია 2012	60,000
	ინფორმირებული მოქალაქე = აქტიური მოქალაქე	99,800
	წინასაარჩევნო განწყობებისა და მოლოდინების კვლევა	145,000
ა(ა)იპ "უფლებები და თავისუფლებები - კავშირი"	მომავლის სკოლა	65,000
ა(ა)იპ "მედია ჯგუფი - კრეატივი"	საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალი www.onlinenews.ge	60,000
ა(ა)იპ "თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების ცენტრი"	რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ	49,900
ა(ა)იპ "ახალგაზრდა სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა კლუბი"	ტრენინგები სტუდენტური თვითმმართველობებისთვის საქართველოს მასშტაბით	40,260
ა(ა)იპ "დემოკრატიის ცენტრი"	ამომრჩეველთა სია	35,000
ა(ა)იპ "საზოგადოება სტუდენტები სტუდენტებისთვის"	ტრენინგები დემოკრატიული არჩევნების არსის შემცნების ხელშეწყობისთვის	19,763

სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდსა და სამინისტროს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული აღნიშნული საგრანტო პროექტების დაფინანსების დეტალური კრიტერიუმები და მონიტორინგის მექანიზმები. შესაბამისად, ვერ დგინდება გაცემული გრანტების მიზნობრიობა.

ფონდის მიერ მიღებული 1,000.00 ათასი ლარი გახარჯულია 2012 წლის ბოლომდე, მაგრამ სამინისტროში საქმიანობის ანგარიშის დროულად წარუდგენლობის გამო, წლის ბოლოს აღნიშნული თანხა კვლავ აისახება დებიტორად.

2010–2011 წლებში წარმოშობილი 2,748.90 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიმართ აღირიცხება „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განტკიცების პროექტი - ილია ჭავჭავაძის“ ბალანსზე ხარჯვის დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში

2012 წლის ბოლოს სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახულია შემდეგი უიმედო დებიტორული დავალიანებები:

დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	დარიცხვის პერიოდი
სამედიცინო უნივერსიტეტის დებიტორული დავალიანება	851.00	1996-2000 წწ.
საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარების პროგრამა	132.02	2007 წ.
იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რაბილიტაცია	1,764.20	2006-2008 წწ.
სულ	2,747.22	

სამედიცინო უნივერსიტეტის ბალანსზე აღრიცხულია 851.00 ათასი ლარის დებიტორული არასაბიუჯეტო დავალიანება, რომელიც წარმოიშვა 1996-2000 წლებში. ბალანსი მოიცავს: „დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის“ ექიმების სწავლების მომსახურების საფასურს – 74.76 ათასი ლარი და ჟვანიას ბავშვთა სავადმყოფოს სადაზღვევო მომსახურების საფასურს – 776.63 ათასი ლარი. აღნიშნული უწყებები 2012 წლისთვის აღარ ეკუთვნის სამინისტროს, თუმცა მათი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ასახულია სამინისტროს ბალანსზე.

საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარების პროგრამის ფარგლებში დებიტორული დავალიანება წარმოიშვა სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიმართ 2007 წელს, მისგან წიგნების თარგმნის მომსახურების შემენით. 2012 წლის განმავლობაში აღნიშნული დებიტორული დავალიანებისთვის 120.72 ათასი ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში, თუმცა წლის ბოლოს ისევ რჩება 132.02 ლარის ბალანსი. დარჩენილ თანხაზე არ განხორციელებულა მომსახურების გაწევა ან თანხის დაბრუნება.

„იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაციის“ ლიკვიდირებული პროგრამის დებიტორული დავალიანებიდან 855.10 ათასი ლარი ჩამოიწერა ხარჯში, ხოლო 140.68 ათასი ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში. 2006 წელს წარმოშობილ 1,738.44 ათასი ლარის ხანდაზმულ⁶ დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129, ნაწილი 1-ის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.



4. არაფინანსური აქტივები:

გასხვისებული ქონება

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონება პრივატიზებულია ან გადაცემულია სხვა უწყებაზე. რადგან დაწესებულებებს არ გააჩნიათ ქონების ბალანსიდან ჩამოწერის დოკუმენტურად დადასტურებული სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნული აქტივები კვლავ ირიცხება მათ ბალანსზე, მაგალითად:

- მიხეილ ნოდიაშვილის გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სარგებლობაში არსებული ჭონქაძის ქ. №20-ში მდებარე მიწისქვეშა ობსერვატორია (მიწა 5,290 მ², შენობა-ნაგებობა 1,800 მ²) და ნუცუბიძის ქ. №77-ში მდებარე ლაბორატორია გადაცემულია სხვა უწყებაზე (მიწა 107,135 მ², შენობა-ნაგებობა 300 მ²).
- ელფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბალანსზე ირიცხება ზაჰესში მდებარე 3,141 მ² საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული ფართი არ არის დაწესებულების ფაქტიურ სარგებლობაში. ასევე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.
- პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბალანსზე აღრიცხულია ჭირნახულის ქ. №7-ში მდებარე ლილოს საინჟინრო ცენტრი, რომელიც სარგებლობის უფლებით გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
- 2011 წლის 18 მარტს ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე“ დარეგისტრირდა ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სარგებლობაში არსებული აკურის ქუჩა №8-ში მდებარე 6,970.2 მ² შენობა-ნაგებობა და მასზე დამატებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7,604.0 მ² მიწა. დარეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიმართა საჯარო რეესტრს, გაუქმებინა აღნიშნულ ქონებაზე უნივერსიტეტისათვის სარგებლობის უფლება. 2012 წლის 5 სექტემბერს სარგებლობის უფლება გაუქმდა და ქონება გასხვისდა. უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულებისათვის აღნიშნული ქონების ბალანსზე აღიარების შეწყვეტისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. ქონება ფინანსური წლის ბოლოს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბალანსზეა აღრიცხული.
- 2012 წლის 25 მაისს ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ სარგებლობის უფლება გაუუქმდა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბალანსზე და სარგებლობაში არსებულ დაბა თეთრიწყაროში აღმაშენებლის ქ. №129-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (სარგებლობის უფლებით ქონება დარეგისტრირებულია 2011 წლის 6 სექტემბერს, 22,635 მ² მიწა და 5,959 მ² შენობა-ნაგებობა). უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულებისათვის აღნიშნული ქონების ბალანსზე აღიარების შეწყვეტისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. ქონება ფინანსური წლის ბოლოს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბალანსზეა აღრიცხული.
- ვლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ბალანსზე აღრიცხავს სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე 14,032 მ² შენობა-ნაგებობებს და მათზე



**სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

დამაგრებულ 13,777 მ² მიწის ნაკვეთს, რომელიც 2006 წლიდან დარეგისტრირებულია ეკონომიკის სამინისტროზე. ეკონომიკის სამინისტრომ 2012 წლის 24 სექტემბერს განაახლა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და 25 სექტემბერს ქონება გაიტანა აუქციონზე, რომელიც არ გასხვისებულა.

- სამეცნიერო-კვლევით ცენტრ ტექნიფორმს ბალანსზე აღრიცხული აქვს 5,687.47 მ² შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 4,162 მ² მიწა. აღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით არ არის დარეგისტრირებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სახელზე. ცენტრი განთავსებულია აღნიშნული ფართის მხოლოდ ნაწილზე.

საბალანსო ღირებულება არ გააჩნია სსიპ „ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის“ სარგებლობაში არსებულ 3 ერთეულ შენობა-ნაგებობას ბათუმში, წყალტუბოსა და თიანეთში (საერთო ფართი 664.6 მ²).

პროფესიული სასწავლებლების საბალანსო ანგარიშებზე ასახული 2,322.80 ათასი ლარის უმრავი ქონება აღარ არის მათ ფაქტიურ სარგებლობაში. 2012 წლის ბოლოსთვის შენობა-ნაგებობებში ცხოვრობენ დევნილები:

დასახელება (თანხა ათას ლარებში)	შენობა-ნაგებობა	მიწა
სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ - ჭიჭინაძის №10	31.40	-
სსიპ კოლეჯი „მერმისი“ - სარაჯიშვილის №108	51.10	-
სსიპ კოლეჯი „მერმისი“ - გმირ კურსანტთა №3, №5, №6	1,054.50	932.0
სსიპ კოლეჯი „მერმისი“ - ერისთავის ჩიხი №1	253.80	-
სულ	1,390.80	932.00

კოლეჯებისთვის სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული არაფინანსური აქტივები

ქვემოთ მოცემულია პროფესიული კოლეჯების ბალანსზე აღრიცხული შენობა-ნაგებობები და მიწა, რომლებიც არ არის მათ სარგებლობაში გადაცემული საჯარო რეესტრის მონაცემებით:

დასახელება (თანხა ათას ლარებში)	შენობა-ნაგებობა	მიწა
სსიპ კოლეჯი „განთიადი“	300.39	-
სსიპ კოლეჯი „მერმისი“	14.40	43.90
სსიპ კოლეჯი „ფაზისი“	109.10	-
სსიპ კოლეჯი „ერქვანი“	73.40	35.40
სსიპ გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრი	-	-
სულ	497.29	79.30



სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარგებლობის უფლებით დაურეგისტრირებელია პროფესიული კოლეჯების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული შემდეგი ქონება:

- სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული პროფესიულ კოლეჯ „განთიადის“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 10,613 მ², არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 10,699 მ² და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 372,507 მ².
- კოლეჯ „მერმისის“ ბალანსზე რიცხული 4,492 მ² შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 4,397 მ² მიწა.
- კოლეჯ „ფაზისის“ ბალანსზე რიცხული 5,213 მ² შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 36,888 მ² მიწა.
- კოლეჯ „ერქვანის“ ბალანსზე რიცხული 3039 მ² შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 23,001 მ² მიწა.
- გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა საერთო ფართობით 5,800 მ², რომელიც არც ბალანსზეა ასახული.

5. კრედიტორული დავალიანება:

2012 წლის ბოლოს სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულია 468.18 ათასი ლარის ხანდაზმული⁷ საბიუჯეტო კრედიტორული დავალიანება⁸, რომელიც წარმოიშვა 1996-2007 წლებში.

საანგარიშო წლის ბოლოს ბალანსზე რჩება 302.66 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება პროგრამა „ბავშვთა ზრუნვის“ ფარგლებში დაფინანსებული სკოლა-პანსიონების მიმართ. აღნიშნული პროგრამა გადაეცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მაგრამ მისი კრედიტორული დავალიანება კვლავ აისახება სამინისტროს ბალანსზე.

129.13 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება აღრიცხულია ა(ა)იპ „თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბალანსზე, რომელიც წარმოიშვა 1996-2000 წლებში და წარმოადგენს მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის გაუცემელ ხელფასებს.

⁷ 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონი # 786, მუხლი 129, პუნქტი 1-ის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

⁸ საბიუჯეტო კრედიტორული დავალიანება – დავალიანება რომელიც წარმოშობილია საბიუჯეტო სახსრებით.



6. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები:

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

2012 წელს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ მთავრობის ნებართვის საფუძველზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდა სოფელ ხოვლეს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. გამარტივებული ტენდერის ჩატარების ნებართვა სააგენტოს მიენიჭა შეზღუდულ ვადებში შესყიდვის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ტენდერი გამოცხადდა მთავრობის განკარგულების მიღებიდან 80 დღის შემდეგ, შესაბამისად, შესყიდვის შეზღუდულ ვადებში განხორციელების აუცილებლობა არ დამდგარა.

2012 წლის 15 აგვისტოს სააგენტოს მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებით პრეტენდენტებს შეეზღუდათ ტენდერში მონაწილეობის ვადა, ვინაიდან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე დიდი მასშტაბის მქონე ტენდერის ხარჯთაღიწვვისა სატენდერო დოკუმენტაციის წარსადგენად განისაზღვრა მხოლოდ 5 დღე. შედეგად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა კომპანიამ.

სატენდერო დოკუმენტაციაში შემსყიდველმა სავალდებულო პირობად მიუთითა, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 500.00 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე გაცემული უნდა ყოფილიყო დამკვეთის მიერ წერილობითი დადასტურება, სარეკომენდაციო წერილის ან მიღება-ჩაბარების აქტის სახით, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულების თაობაზე.

ტენდერში მონაწილე კომპანიის, შ.პ.ს. „არქიტექტურას“, სატენდერო წინადადების ფასმა 804.00 ათასი ლარი შეადგინა. ვაჭრობის შედეგად საბოლოო ფასი განისაზღვრა 804.00 ათასი ლარით.

სატენდერო კომისიამ განიხილა და დაადასტურა შ.პ.ს. „არქიტექტურას“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნებთან. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს⁹.

კერძოდ შ.პ.ს. „არქიტექტურამ“ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ადასტურებდა მხოლოდ ორი და მათი საერთო ღირებულება შეადგენდა 172.82 ათას ლარს. სხვა დანარჩენი მიღება-ჩაბარების აქტები წარმოადგენდა შუალედურ აქტებს, რითაც არ დასტურდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში იყო მოთხოვნილი.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, მუხლი 12, პუნქტი 4.



სასკოლო ინვენტარის შესყიდვები

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული სასკოლო ინვენტარის შესყიდვის პროცედურებში იზღუდებოდა კონკურენცია, რაც მიზნად ისახავდა ტენდერში ერთი კონკრეტული კომპანიის - შ.პ.ს „ინსტა ჯორჯიასთვის“ უპირატესობის მინიჭებას.

1. ლაბორატორია

სააგენტომ ლაბორატორიის შესყიდვის პროცედურებში შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიას“ სასარგებლოდ განსაზღვრა რიგი სატენდერო პირობები. კერძოდ, მონაწილე კომპანიას მოეთხოვებოდა ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების გამოცდილება, რომლის ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 1,000.00 ათასი ლარისა. 2011 წლის ერთ უკონკურენტო ტენდერში გამარჯვების გამო, შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიას“ სააგენტოსთვის უკვე მიწოდებული ჰქონდა ამ ღირებულების ლაბორატორიის ხელსაწყოები და შესაბამისად ჰქონდა აღნიშნული გამოცდილება. აღნიშნულის დასტურად ცნობა სააგენტომ თავადვე გადასცა შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიას“, რომელმაც ის უკან სააგენტოს წარუდგინა. ამის საფუძველზე შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიამ“ გაიმარჯვა ტენდერში და გაუფორმდა 5,480.00 ათასი ლარის ხელშეკრულებები.

2. ავეჯის შესყიდვა

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2011 – 2012 წლებში შესყიდულ იქნა 75,420 ცალი სასკოლო მერხი და სკამი 6 ტენდერით, საერთო სახელშეკრულებო თანხით 9,506.25 ათასი ლარი.

საერთო ჯამში სხვადასხვა სახის სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, რომლებიც გამოირჩეოდა მაღალი კონკურენციით და პრეტენდენტების სიმრავლით, სააგენტომ 3-ჯერ შეწყვიტა დასაბუთებისა და განმარტების გარეშე. ხელშეკრულებები გაფორმდა კონკურენტის გარეშე დარჩენილ შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიასთან“.

2012 წლის თებერვალში გახსნილ ტენდერში, რომელშიც შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯია“ წარმოადგენდა ერთადერთ პრეტენდენტს, ერთეული საქონლის - სასკოლო მერხის ფასმა იმატა 25%-ით, 110 ლარიდან 133 ლარამდე, რის შედეგადაც ჯამში შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიას“ გაზრდილი ფასით აუნაზღაურდა 700,000 ლარი (სხვაობა უწინდელ და ახალ ფასს შორის).

მომდევნო ტენდერში ჩაერთვნენ კონკურენტები, რის შედეგადაც საქონლის ფასი 133 ლარიდან შემცირდა 124 ლარამდე და გაიმარჯვა სხვა კომპანიამ - შ.პ.ს. DEMLINE-მა.

აღნიშნული ტენდერის შემდეგ, მთავრობის ნებართვის საფუძველზე სააგენტომ 1 თვის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვით 3 სხვადასხვა ხელშეკრულება გააფორმა შ.პ.ს. „ინსტა ჯორჯიასთან“ სასკოლო მერხების 124 ლარის ღირებულებით შესყიდვის პირობით.



გლდანის პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2011 წლის 15 დეკემბერს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შ.პ.ს. „ანაგისგან“ შესყიდულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების თანახმად, შესყიდვის საერთო ღირებულება განისაზღვრა 11,507.59 ათასი ლარით.

ხელშეკრულება გაფორმდა ისე, რომ სააგენტოს არ შეუდგენია სამშენებლო ობიექტის პროექტი და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია. ასევე ობიექტის მშენებლობა დაიწყო შესაბამისი ნებართვის¹⁰ გარეშე.

საჯარო რეესტრის ამონაწერით ვლინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა განხორციელდა შპს „ველაჯიოს“ საკუთრებაში არსებულ მიწაზე. აქედან გამომდინარე, მშენებლობა განხორციელდა მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და რომელიც არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის სარგებლობაში, რითაც მოხდა კერძო საკუთრების ხელყოფა.

გლდანის საცურაო აუზის მშენებლობა

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ გამარტივებული¹¹ შესყიდვით, შპს „ანაგისგან“ შესყიდულია საცურაო აუზის მშენებლობის სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 6,554.36 ათასი ლარით.

ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 24 მაისს, მაშინ როდესაც აუზის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაიწყო 2012 წლის თებერვალში, რაც დასტურდება ფარული სამუშაოების აქტებით. აქედან გამომდინარე, სამუშაოები დაიწყო მთავრობის განკარგულების გამოცემამდე და მშენებელთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

სამშენებლო სამუშაოების დაწყების მომენტში მიწის ნაკვეთი, რომელზეც მიმდინარეობდა მშენებლობა, არ იყო სამინისტროს მფლობელობაში: ნაწილი ეკუთვნოდა ფიზიკურ პირს, ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობას. ტერიტორიის ნაწილი უზუფრუქტით გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის მარტში, მშენებლობის დაწყების შემდეგ. 2012 წლის 3 ოქტომბრისთვის საცურაო აუზთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთის ორივე ნაწილი დარეგისტრირებულია ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. საბოლოოდ, ზემოაღნიშნული ფართი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები უზუფრუქტით 5 წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისის მერიის 100%-იან წილობრივ მფლობელობაში არსებულ შ.პ.ს. „გლდანის საცურაო აუზს“.

¹⁰ საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მუხლის 24 პუნქტი 23 და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საანგარიშო პირობების შესახებ“ მოთხოვნები.

¹¹ გამარტივებული შესყიდვის საფუძველია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №870 განკარგულება.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფინანსური აუდიტის ანგარიში

სააგენტომ სამშენებლო სამუშაოები განახორციელა მესაკუთრეების ინფორმირების და თანხმობის გარეშე. ასევე მშენებლობა დაიწყო და განხორციელდა მშენებლობის ნებართვის გარეშე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ჰქონდა საექსპერტო შეფასება. 2012 წლის 24 ოქტომბერს, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გასცა დადებითი რეკომენდაცია აუზის საპროექტო დოკუმენტზე, მაშინ როდესაც აუზზე სამუშაოები დასრულებული იყო.

აუზის მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული წლიური შესყიდვების¹² და სამოქმედო გეგმებში¹³, რომლის ასახვა მოხდა დაგვიანებით, მშენებლობის დაწყებიდან რამოდენიმე თვეში.

¹² შესყიდვების გეგმის კორექტირება 2012 წლის 31 მაისს მოხდა.

¹³ სამოქმედო გეგმის კორექტირება 2012 წლის 27 ივლისს მოხდა.



7. საბიუჯეტო ასიგნებები:

დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილება მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ განხორციელებულია 134-ჯერ, საერთო თანხით 91,138.3 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 14.6%-ია. პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებამ სულ შეადგინა 41,635.2 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის, 625,781.7 ათასი ლარის, 6.7%-ია.

2012 წლის 3 ოქტომბრის ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის №1101 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის საფუძველზე განხორციელებული ცვლილების (10,680.2 ათასი ლარი) შემდეგ ცვლილებათა საერთო მოცულობა გაიზარდა 37,912.2 ათას ლარამდე და შეადგინა იმ პერიოდისათვის სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტის (600,680.0 ათასი ლარი) 6.3%, რაც საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ზღვარს, 5%-ს, აღემატება 26%-ით (7,878.2 ათასი ლარით). აღნიშნულით დაირღვა საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნა პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების მაქსიმალური ზღვრის შესახებ¹⁴.

2012 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისას კანონში აისახა მანამდე ხარჯთაღრიცხვის ცნობებით განხორციელებული 12,234.2 ათასი ლარის ცვლილება და ცვლილების მოცულობა შემცირდა 29,301.0 ათას ლარამდე, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 4.7%-ია და 6%-ით ნაკლებია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ დასაშვებ ნორმაზე.

სამინისტროს სისტემაში დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე და მოცულობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბიუჯეტის ფორმირებისას წინამოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულია არასათანადო დონეზე. ცვლილებების ჯამურმა მოცულობამ უკვე თებერვლის ბოლოსთვის 22,428.7 ათასი ლარი შეადგინა.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებს ახლავს განათლების სამინისტროს მოთხოვნები, სადაც ახსნილია, რა აქტივობები განხორციელდება გაზრდილი ასიგნებით, მაგრამ არა არის მითითებული რა აქტივობების ხარჯზე ხდება ცვლილებები. ამდენად, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ცნობებიდან და ცვლილების მოთხოვნებიდან არ ჩანს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და ცვლილების შედეგად მიღებული შედეგის უპირატესობა ცვლილებამდე არსებულთან შედარებით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში მთავრობის განკარგულებების მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოიყო 6,500.0 ათასი ლარი, თუმცა წლის ბოლოს გამოყოფილი თანხა შემცირდა 2,213.8 ათასი ლარით და შეადგინა 4,286.2 ათასი ლარი. ცვლილება განხორციელდა გამოყოფიდან 5 თვის შემდეგ, წლის ბოლოს. თანხის აუთვისებლობა მიუთითებს

¹⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31, ნაწილი 3.



**სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

დაგეგმარების სისუსტეზე თანხების გამოყოფის დროს, ხოლო აუთენტიკური თანხების ფონდში წლის ბოლოს დაბრუნების გამო ვერ მოხერხდა ამ თანხების მიმართვა სხვა მიმართულებით.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ასიგნებები 2012 წელს შემცირდა 10.5 მილიონი ლარით. აქედან 6 მილიონ ლარზე მეტი მიიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ასიგნებები შემცირდა 20 მილიონ ლარზე მეტით. აქედან 9.5 მილიონი ლარი მიიმართა ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვეპროგრამაზე. სხვადასხვა პროგრამების ხარჯზე საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა წლის განმავლობაში გაიზარდა 31.4 მილიონი ლარით, საიდანაც 7.6 მილიონი ლარი მიიმართა საპრეზიდენტო პროგრამა „ირმის ნახტომზე“ და 23.8 მილიონი ლარი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ბიუჯეტის ზოგიერთ კომპონენტებში ხდება ასიგნებების დარეზერვება და შემდგომ მათი სხვა მიმართულებით გამოყენება.

8. ლიკვიდირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კუთვნილი აქტივები:

2006-2007 წლებში ლიკვიდირებული ხუთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კუთვნილი არაფინანსური აქტივები, მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით და საცნობარო მუხლში წარმოდგენილი ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი აქტივები ისევ აღირიცხება სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების ფორმებში. სამინისტროს არ განუხორციელებია მონიტორინგი აღნიშნული ქონების კუთვნილებისა და სარგებლობის სტატუსის გასარკვევად:

№	ორგანიზაციის დასახელება	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	არაფინანსური აქტივები	საცნობარო მუხლი (ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები)
1	სსიპ სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი	5,817.00	83,292.00	7,627.00
2	სსიპ ინსტიტუტი "ავტომრეწვი"	-	548,464.00	3,257.00
3	სსიპ კლიმატური გამოცდის ცენტრი	-	103,798.00	-
4	სსიპ მასალათა გამოცდის ცენტრი	1,999.00	697,205.00	-
5	სსიპ სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასაწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	-	59,344.51	6,553.00
სულ		7,816.00	1,492,103.51	17,437.00



9. შიდა კონტროლის სისტემები:

აუდიტის შედეგად გამოვლინდა სამინისტროში დანერგილი კონტროლის სისტემის შემდეგი ნაკლოვანებები:

- შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს 2011 წელს მიღებული სამწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტის განხორციელებას.
- სსიპ „საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ ბალანსზე აღრიცხულია 27,870.00 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც გახარჯულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. სააგენტოში არ ხორციელდება დებიტორული დავალიანების მონიტორინგი, რის გამოც, ხარჯვის დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი თანხის მიმღების მიერ. შედეგად აღნიშნული თანხა კვლავ აისახება დებიტორულ დავალიანების მუხლში ნაცვლად ძირითად საშუალებების მუხლისა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ორგანიზაციის ბალანსი – ფორმა №1
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები
2012 წელი

აქტივები	2011	2012
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	133,187,062	157,096,916
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	15,696	5,023
ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	33,317,199	45,233,204
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	7,025,276	6,293,427
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	4,233,927	6,380,731
სხვა ანგარიშები ბანკში	6,358,048	5,922,672
ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	-	-
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	19,726	26,587
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	-	-
